ხელშეკრულება

დომენური სახელ(ებ)ის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე

ერთის მხრივ აბონენტი (შემდგომში "რეგისტრანტი") და მეორეს მხრივ, შპს ინტერნეტ სერვისები (ს/კ 406237763). წარმოდგენილი როგორც .ge დომენის რეგისტრატორი (შემდგომში "რეგისტრატორი") ამ ონლაინ ხელშეკრულების საფუძველზე "რეგისტრანტი" და "რეგისტრატორი" შემდეგში ერთად წოდებულ როგორც "მხარეები" ხოლო ცალცალკე როგორც "მხარე", ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ამ ხელშეკრულებას (ონლაინ ხელშეკრულებას) და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ვებ გვედრზე (www.finddomain.ge) რეგისტრანტის უფლებამოსილი წარმომამდგენლის მიერ შევსებული განაცხადით მოთხოვნილი ინტერნეტდომენური სახელის [-] **.ge** სარგებლობის შეზღუდულ, გადაცემად, განახლებად, ექსკლუზიურ უფლების აღებას იმ ვადითა და პირობებით, როგორც ეს მოცემულია ამ ხელშეკრულებაში და GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში (როგორც ეს გამოქვეყნებულია საიტზე www. finddomain.ge) და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი და ძალაში შესვლის პირობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის რეგისტრანტის მიერ ონლაინ განაცხადის შევსების დღიდან და მოქმედებს დომენის რეგისტრაციის მომენტიდან 1(ერთი) წლის მანძილზე. დომენი რეგისტრირებულად ითვლება რეგისტრანტის მიერ თანხის გადახდის და თანხის რეგისტრატორის ბილინგში ასახვის მომენტიდან. რეგისტრანტის მიერ დომენის ღირებულების გადახდამდე დომენის რეზერვაცია (მოლოდინის რეჟიმი) არ წარმოებს და დომენი ითვლება რეგისტრაციისათვის თავისუფლად. ამასთან, თუ რეგისტრანტის მიერ დომენის რეგისტრაციაზე განაცხადის მომენტიდან 7(შვიდი) კალენდარული დღის მანძილზე დომენის რეგისტრაციის ღირებულება არ იქნება ანაზღაურებული, რეგისტრაციის განაცხადი გაუქმდება.

2.2. იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე რეგისტრანტის მიერ განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების საგნის - დომენური სახელის დროებითი სარგებლობისათვის განსაზღვრული წლიური საფასურის გადახდა მომდევნო სააღრიცხვო პერიოდზე, წინამდებარე ხელშეკრულება ყველა მისი თანდართული წერილობითი (მათ შორის ელექტრონული) დოკუმენტით ავტომატურად გაგრძელდება 1 (ერთი) კალენდარული წლის ვადით იმავე პირობებით. აღნიშნული პირობა ვრცელდება ყოველ მომდევნოპერიოდზე.

2.3. დომენის რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდგომ, იმ შემთხვევაში თუ დომენის რეგისტრაციის განახლების ღირებულება არ იქნება გადახდილი დროულად, რეგისტრანტს განახლებისათვის ეძლევა სარეგისტრაციო ვადის გასვლიდან 30(ოცდაათი) კალენდარული დღე, რა პერიოდშიც დომენი რჩება რეგისტრანტის სარგებლობაში თუმცა დომენი ამ პერიოდით შეჩერებულია. 30(ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლის შემდგომ დომენით სარგებლობის უფლება უქმდება და გადის თავისუფალ რეგისტრაციაში.

მუხლი 3. ღირებულება და გადახდის წესი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირველ მუხლში აღნიშნული ერთი .ge , .com.ge , .edu.ge , .org.ge , .pvt.ge , .net.ge , .school.ge ინტერნეტდომენური სახელის სარგებლობაში გადაცემისათვის განსაზღვრული ყოველწლიური ღირებულება შეადგენს თანხას, რომელიც გამოქვეყნებულია რეგისტრატორის ვებ გვერდზე: www.finddomain.ge ელექტრონული განაცხადის წარდგენის თარიღისათვის, ხოლო სხვა დომენებისათვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აბონენტის მიერ რეგისტრატორის ბილინგის სისტემაში რეგისტრაციის გავლისას მითითებულ ღირებულებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულების ავტომატურად გაგრძელების შემთხვევაში რეგისტრანტი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. მუხლში ინტერნეტდომენური სახელით სარგებლობის უფლების გადაცემისათვის განსაზღვრული წლიური საფასური წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

მუხლი 4. მხარეთა უფლებამოვალეობები

4.1. რეგისტრანტს უფლება აქვს:

მოსთხოვოს რეგისტრატორს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების

შესრულება. 4.2. რეგისტრანტი ვალდებულია:

ა) გაეცნოს და შეასრულოს GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებს და პირობებს, ასევე პერსონალურ
მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტს, რომლებიც გამოქვეყნებულია ვებ გვერდზე (www.finddomain.ge) და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ბ). რეგისტრატორის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს რეგისტრატორს დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით განსაზღვრული დამატებითი ინფორმაცია.

გ). კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით ნაკისრი ვალდებულებები;

დ) ყოველწლიურად დროულად მოახდინოს მომსახურების ღირებულების გადახდა;

ე) მიაწოდოს რეგისტრატორს სარეგისტრაციო მონაცემების განსაახლებლად აუცილებელი ინფორმაცია;

ვ). გამოიყენოს დომენური სახელი იმგვარად, რომ ასეთმა გამოყენებამ არ გამოიწვიოს მესამე პირთა უფლებების, მარეგულირებელი კანონმდებლობის ან სამართლებრივი ძალის მქონე აქტის დარღვევა.

ზ). არ დაუშვას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული დარეგისტრირებულ ინტერნეტგვერდზე დაუშვებელი კონტენტის განთავსება რომელიც :

(i) არის არაკანონიერი, მუქარის შემცველი, შეურაცმყოფელი, არღვევს საავტორო უფლებებს, პროპაგანდას უწევს რასობრივ, რელიგიურ, სქესობრივ, სოციალურ დისკრიმინაციას და აღვივებს შუღლს, შეიცავს შეურაცყოფას კონკრეტული პირებისა და ორგანიზაციების მიმართ;
(ii) არღვევს არასრულწლოვანთა უფლებებს და ხელს უწყობს მათთვის ნებისმიერი ფორმით ზიანის მიყენებას;
(iii) არღვევს ან ავიწროვებს უმცირესობათა უფლებებს;
(iv) რომ დაუშვებელია იმ კონტენტების ჩატვირთვა, გაგზავნა, გადაცემა ან სხვა სახით განთავსება, რომლებზეც რეგისტრანტს არ გაგაჩნია უფლება გახადოთ საჯარო საქართველოს კანონმდებლობით, ან რომელიმე ხელშეკრულებით;
(v) იმ კონტენტების ჩატვირთვა, გაგზავნა, გადაცემა ან სხვა სახით განთავსება, რომლებიც ეხება რაიმე პატენტს, სავაჭრო ნიშანს, კომერციულ საიდუმლიებას ან არღვევს მესამე მხარის საავტორო უფლებებს;
(vi) იმ კონტენტების ჩატვირთვა, გაგზავნა, გადაცემა ან სხვა სახით განთავსება, რომლებზეც შეიცავენ სპამს(მათ შორის საძიებო), უცხო ელექტრონულ მისამართებს;
(vii) იმ კონტენტების ჩატვირთვა, გაგზავნა, გადაცემა ან სხვა სახით განთავსება, რომლებიც შეიცავენ ვირუსებსა და სხვა კომპიუტერულ კოდებს, ფაილებს და პროგრამებს, რომლებიც განსაზღვრულნი არიან პროგრამების, კომპიუტერებისა და ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობათა ფუნქციონალური შეზღუდვის, დარღვევისა თუ განადგურებისათვის. ასევე კომერციული პროგრამული პროდუქტების სერიული ნომრების, კოდების, ლოგინების, პაროლების ან სხვა რაიმე ინფორმაციის გამოქვეყნება, რაც ხელს შეუწყობს ინტერნეტის ფასიან რესურსებში არასანქცირებულ ხელმისაწვდომობას, აგრეთვე ზემოთაღნიშნულ ინფორმაციაზე ლინკების განთავსება;
(viii) მესემე პირთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება და შენახვა;
(ix) საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ნორმების შეგნებული დარღვევა;

თ) არ დაუშვას მის მიერ ვებგვედრზე (www.finddomain.ge) რეგისტრაციის დროს მითითებული სახელისა და პაროლის გადაცემა მესამე პირებზე;

ი) წინამდებარე ხელშეკრულება გააფორმოს საკუთარი საჭიროებისათვის ან იმოქმედოს სხვა (მესამე) პირ(ებ)ის დავალებით ან სასარგებლოდ;

ამასთან რეგისტრანტი აცხადებს და გარანტიას იძლევა რომ:

(i) მის მიერ სარეგისტრაციო განაცხადში მითითებული ინფორმაცია არის სრული
და სწორი; (ii) საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართი არის მოქმედი;
(iii) მოპოვებული აქვს ყველა საჭირო ნებართვა და თანხმობა ადმინისტრაციული საკონტაქტო

პირისგან, ტექნიკური საკონტაქტო პირისგან, ბილინგ საკონტაქტო პირისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მათ შორის და არამხოლოდ, მათი საკონტაქტო ინფორმაციის გამოყენებასთან და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების მოთხოვნების შესრულებასთან დკავშირებით;

(iv) რეგისტრანტს აქვს კანონიერი უფლება გამოიყენოს დომენური სახელი;

(v) რეგისტრანტი აკმაყოფილებს დომენური სახელის დასარეგისტრირებლად აუცილებელ მოთხოვნებს, მათ შორის, დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების 3.3 პუნქტის მოთხოვნებს ზოგად დომენებთან მიმართებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

(vi) დომენური სახელის რეგისტრაცია და გამოყენება, რამდენადაც ეს რეგისტრანტისთვის ცნობილია, არ

არღვევს და არ დაარღვევს რაიმე იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე აქტს, მარეგულირებელ
კანონმდებლობას ან მესამე პირთა უფლებებს;

4.3. რეგისტრატორს უფლება აქვს: მოსთხოვოს რეგისტრანტს წინამდებარე ხელშეკრულებითა და GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინსტრაციის წესებითა და პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.4. GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინსტრაციის წესებითა და პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის და ამ ხელშეკრულების 4.2 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში შეუჩეროს რეგისტრანტს დომენის რეგისტრაცია.

4.5. რეგისტრატორი ვალდებულია:

(i) გაუწიოს რეგისტრანტს სარეგისტრაციო მომსახურება დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების და ამ ხელშეკრულების პირობების დაცვით;

(ii) უზრუნველყოს სარეგისტრაციო მონაცემებისა ინფორმაციის დროული განახლება რეგისტრანტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

მუხლი 5. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

5.1. რეგისტრატორი არ არის პასუხისმგებელი მესამე პირის მიერ რეგისტრანტის სარეგისტრაციო მონაცემების (ვებ- გვედრზე (www.finddomain.ge) ნებისმიერი სახით გამოყენებაზე. რეგისტრანტისათვის ცნობილია, რომ ვებგვერდზე www.finddomain.ge - ზე შექმნილი პროფილიდან შევსებული განაცხადი, ან ნებისმიერი ხასიათის სხვა მოთხოვნა მხარეებისათვის წარმოადგენს სამართლებრივ დოკუმენტს, რის საფუძველზეც მხარეთა შორის წარმოიშობა მოთხოვნის შესაბამისი ვალდებულებები.

5.2. რეგისტრანტის მიერ დომენური სახელის არამართლზომიერი გამოყენების, მათ შორის ასეთი გამოყენების შედეგად მესამე პირთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში რეგისტრანტი ვალდებულია აანაზღაუროს გაწეული ხარჯი ან/და მიყენებული ზიანი, როგორც ეს გათვალისწინებულია დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები

6.1. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

6.1.1. მხარეთა შეთანხმება;

6.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. მუხლით დაწესებული ვადის გასვლა.

6.1.3. მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ამ შემთხვევაში მხარეები შეეცდებიან მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულება

შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.

6.1.4. GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით გათვალისწინებული საფუძვლები.

მუხლი 7. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართებით გაუთვალისწინებელი ყველა საკითხი, მხარეთა შეთანხმებით მოწესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. მხარეთა შორის ყველა დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ ოცდაათი (30) კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ორივე მხარეს უფლება აქვს გამოიყენოს აღნიშნული ხელშეკრულების 7.3. პუნქტი.

7.3. ნებისმიერ დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით არსებული ნებისმიერი შეთანხმებიდან, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულებიდან ანდა შეთანხმების არსებობის, ნამდვილობისა და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა გადაეცეს სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. დავის ალტერნატიული მოგვარების წესი

8.1 იმ შემთხვევაში თუ რეგისტრირდება დომენური სახელი, რეგისტრანტი თანხმობას აცხადებს დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების ერთიან პოლიტიკაზე (Uniform Domain Name Dispute Resolution Policy "UDRP"), მათ შორის UDRP-ის ნორმებზე და დამატებით წესებზე, რომლებიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. UDRP-ის ძალაში მყოფი წესები ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: http://www.wipo.int/amc/en/domains/cctld/ge/index.html .

8.2 რეგისტრანტი თანხმობას აცხადებს, რომ UDRP-ის შესაბამისად დავები განიხილოს WIPO-ს არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრმა. დავის განხილვის ენა უნდა იყოს ინგლისური.

მუხლი 9. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

9.1. რეგისტრანტი თანხმობას აცხადებს რეგისტრატორმა რეგისტრანტის პერსონალური მონაცემები დაამუშაოს საქართველოს კანონმდებლობის და კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად.

9.2. რეგისტრანტი თანხმობას აცხადებს რეგისტრატორმა მისი პერსონალური მონაცემები გადასცეს ადმინისტრატორს.

მუხლი 10. ფორს მაჟორი

10.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ ან მთლიანად შეუსრულებაზე, თუ ეს გამოწვეულია გაფიცვების, ომის, წყალდიდობის, ხანძრის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად.

მუხლი 11. ხელშეკრულების სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულების შესაბამისად ნებისიერი შეტყობინება ან კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით, შეტყობინება მიწოდებულად ჩაითვლება რეგისტრანტის ან/და რეგისტრანტის ადმინისტრაციული საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნის

მომენტიდან. ასეთი ელექტრონული ფოსტის მისამართი მითითებულია რეგისტრანტის ელექტრონულ განაცხადში, რომელიც შესაძლოა განახლდეს რეგისტრანტის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების დაცვით.

11.2. რეგისტრატორი უფლებამოსილია ცალმხრივად შეიტანოს ცვლილება ამ ხელშეკრულებაში, მათ შორის, შეცვალოს ხელშეკრულების **Error! Reference source not found.** და **Error! Reference source not found.** პუნქტებით განსაზღვრული რეგისტრაციის საფასური ან/და რეგისტრაციის განახლების საფასური დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების შესაბამისად, ასეთი ცვლილებების ძალაში შესვლამდე სულ მცირე 1 (ერთი) კალენდარული თვით ადრე ცვლილებების სკუთარ ვებ-გვერდზე [-] გამოქვეყნებითა და რეგისტრანტისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით.

11.3. ონლაინ ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ხელშეკრულების ქართულ და ინგლისურ ვერსიებს გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა და სავალდებულოა შესასრულებლად მხარეებისათვის.
11.4. წინამდებარე ონლაინ ხელშეკრულების რომელიმე მუხლის (ან მისი ნაწილის) ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.
11.5. ხელშეკრულების მუხლებს წანამძღვრებული აქვს სათაურები ხელშეკრულების ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები არ მიიჩნევა ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად.
11.6. ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებას.
11.7. ხელშეკრულება განიხილება GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებთან ერთად, რომელიც ასევე გამოქვეყნებული ვებ გვერდზე www.finddomain.ge , ძალაშია ხელშეკრულებასთან ერთად და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. .GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებსა და წინამდებარე ხელშეკრულების ნებისიერ პირობას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესი ურიდიული ძალა ენიჭება
.GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში მოცემულ პირობებს.
11.8. ხელშეკრულებას შეიძლება თან ერთვოდეს დოკუმენტები, რომელიც დაკავშირებულია მასთან და ასევე წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (რეგისტრანტის მიერ ვებგვერდზე www.finddomain.ge შევსებული ელ. განაცხადი დომენური სახელის რეგისტრაციაზე). ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, რეგისტრატორმა გამოაქვეყნა ეს ხელშეკრულება ვებ გვერდზე www.finddomain.ge ხოლო რეგისტრანტმა საკუთარი უფლებამოსილი წარმომადგენლების საშუალებითა და ვებ გვერდზე www.finddomain.ge ამ ხელშეკრულებაზე თანხმობის გაცხადებით გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება.

რეგისტრატორი:

შპს ინტერნეტ სერვისები
საიდენტიფიკაციო კოდი: 406237763
ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 16 / 810
ტელეფონი: +995 593188661

ბანკი: სს "თიბისი ბანკი"
ანგარიში: GE38TB7224136020100010
ბანკის კოდი: TBCBGE22

ს.კ: 406237763
ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"
ანგარიში: GE46BG0000000101367892
ბანკის კოდი: BAGAGE22